

პირველი ქართული უნივერსიტეტის წარსული, აწმყო და პრობლემები

ჟურნალი “გზა”, - № 48, 26/11/2015

თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ყველა ქართველისთვის ნაცნობი, საყვარელი და სათაყვანო უნივერსიტეტის შენობა მდებარეობს. ხშირად უნივერსიტეტს „ცოდნის ტაძარს“ და „თეთრ ტაძარსაც“ უწოდებენ... ეს არც არის გასაკვირი: ვინ იცის, რამდენ ცნობილ ადამიანს უსწავლია აქ, რამდენი დიდი მეცნიერი, მწერალი, თუ საზოგადო მოღვაწე გამოუზრდია ჩვენს უნივერსიტეტს... უნივერსიტეტელობა დიდი პატივია, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც აქ სწავლობ, მერე სტუდენტებს ასწავლი, ბოლოს კი, უნივერსიტეტის რექტორიც ხდები. თსუ-ს ახლანდელი რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპაევა, უნივერსიტეტის აღზრდილია, ამიტომაც ამბობს, რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე რთული და საპატიო თანამდებობაა. ქართული უნივერსიტეტის პრობლემებზე, მის აწმყოსა და მომავალზე უნივერსიტეტის რექტორი გვესაუბრება:

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით დღევანდელი სტუდენტების ცოდნის დონეს? არაერთი ლექტორისგან გამიგონია, რომ ადრე უფრო განთლებული სტუდენტები ჰყავდათ...

– ჩემი აზრით, უმთავრესი პრობლემაა ის, თუ როგორ ამზადებს ახალგაზრდებს საშუალო სკოლა: ავიღოთ თუნდაც ყველაზე მთავარი გამოცდა, რომელსაც აბიტურიენტები აბარებენ – ეს არის უნარ-ჩვევები. თუ არსებობს სკოლაში რაიმე, რითაც ახალგაზრდებს ამ საგანს ასწავლიან? – პრაქტიკულად არა. მშობელიც იძულებულია, რომ შვილი დაქირავებულ პედაგოგთან მიიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რადგან ეს გამოცდა არ არის სტანდარტული. ის მოითხოვს გარკვეული უნარების და თვისებების გამომჟღავნებას. სკოლა აძლევს ბავშვს ამის საშუალებას? – რა თქმა უნდა – არა. ავიღოთ თუნდაც მე-12 კლასი, რომელიც ევროპული სტანდარტების მიხედვით ჩვენთანაც შემოიღეს, გამოგიტყდებით, რომ ქართულ სინამდვილეში ის აბსოლუტურად ზედმეტია, მაგრამ კი არ უნდა გავაუქმოთ, სათანადო შინაარსი და დატვირთვა უნდა მივცეთ.

– სხვათა შორის, მეტორმეტე კლასელების უმრავლესობა ამბობს, რომ ეს მათთვის დაკარგული წელია. თქვენც ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– დიახ, ეს დაკარგული წელია იმის გამო, რომ მე-12 კლასს შინაარსობრივი დატვირთვა არა აქვს, ამიტომ, მშობლები მეტორმეტე წელს შვილებს ძირითადად რეპეტიტორებთან ატარებენ. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მე-12 კლასში საგნებიც

ცოტა ისწავლება და ბავშვებს დატვირთვაც ნაკლები აქვთ. მე მაგალითად, როცა ვსწავლობდი, 10-წლიანი სწავლება იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგი განათლება მივიღე. 12-წლიანი სწავლება ეს ევროპული სტანდარტია და თუ ევროპისკენ მივდივართ, ამაზე უარს ვერ ვიტყვით. ამიტომ უნდა შევძლოთ, რომ ეს წელი შინაარსით იყოს დატვირთული. წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა, რომელსაც ფიზიკოსობა უნდა, ის მე-11 კლასში ამთავრებს ფიზიკის სწავლას, მერე მთელი წელი არ სწავლობს და მისაღებ გამოცდაზე ფიზიკა აქვს ჩასაბარებელი. თუ ადამიანს ფიზიკაში, ან ბუნებისმეტყველებაში წასვლა უნდა, მან სრულფასოვანი განათლება უნდა მიიღოს სკოლაში და წელი არ უნდა ეკარგებოდეს. ასე არ ხდება, ამიტომ, ნუ გაგვიკვირდება, რომ უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა სტუდენტებით საზოგადოდ კმაყოფილი არ არის. აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენს უნივერსიტეტს აქვს ერთი განსხვავება: არსებობს გამოცდების ერთიანი ეროვნულ სტანდარტი, მინიმალური ზღვარი, რომელიც აბიტურიენტმა უნდა გადალახოს. ჩვენ მთელ რიგ მიმართულებებზე უფრო მაღალი ზღვარი გვაქვს დაწესებული: დავუშვათ, თუ სხვაგან ზღვარი არის 25% + 1, ჩვენთან ეს ზღვარი უფრო მაღალია ანუ აბიტურიენტი ჩვენთან რომ ჩაირიცხოს, უფრო მაღალი სტანდარტის ქულები (45% + 1) უნდა დააგროვოს, მაგრამ აქაც გვაქვს გარკვეული პრობლემები.

– მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?

– ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენამდე მოდიან, ყოველთვის არ არიან მზად უმაღლესი სასწავლებლისთვის და ძალიან ბევრი რამ, რაც ბავშვობაში, მაღალ კლასებში უნდა წაეკითხათ, არ იციან. სამწუხაროდ, ბევრ მათგანს არა აქვს შესაბამისი ცოდნა. ჩვენი ახალგაზრდობის განათლების საკითხი რომ მოვაგვაროთ, ეს სკოლის მერხიდანვე უნდა დავიწყოთ. მე, როგორც მშობელმა, შემიძლია გითხრა, რომ სკოლა ვერ ამზადებს საჭირო კადრებს და მაღალ კლასებში რეპეტიტორის ყოლა საჭირო კი არა, აუცილებელიც კია. იმედია, რომ ჩვენთანაც დადგება დრო, როცა სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას რეპეტიტორი არ დასჭირდება. ჩემი აზრით, ყველაფერი სკოლიდან იწყება: ბავშვმა საფუძველშივე უნდა მიიღოს განათლება როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე ჰუმანიტარულ დარგებში, რომ მას შეეძლოს უკეთესად ჩამოყალიბდეს, თუ რა უნდა ცხოვრებაში. ამიტომაც არის, რომ დღეს ახალგაზრდები უმაღლესში ჩაბარების დროს, ხანდახან სრულიად განსხვავებულ სპეციალობებს ავსებენ. ზოგიერთი თანახმაა, უცხო ენებზე თუ ვერ მოხვდება, რომელიდაც აგრარულ სპეციალობაზე მოხვდეს, როგორ შეიძლება ადამიანს ამდენად განსხვავებული სფეროები ერთდროულად აინტერესებდეს? აბიტურიენტების მნიშვნელოვან ნაწილს ორიენტაცია აღებული აქვს არა იმაზე, რომ კარგი სპეციალისტი დადგეს, არამედ იმაზე, რომ როგორღაც ჩაირიცხოს და სტუდენტი გახდეს.

– ანუ ქართველ ახალგაზრდას ისევ აქვს შიში, რომ უდიპლომო სასიძოდ, ან უდიპლომო საპატარძლოდ არ დარჩეს?

– დიას, ეს პრობლემაც რჩება და ისევ ძალაშია. ეს ფილმი ანუ „უდიპლომო სასიძო“ მე-20 საუკუნის 60-იან წლებშია გადაღებული, მაგრამ ეს მენტალიტეტი ჩვენს ხალხში ისევ რჩება. საბედნიეროდ, დღეს ცოტა უფრო გაჯანსაღდა სიტუაცია. დღეს უკვე ბევრი მიხვდა, რომ დიპლომი მთავარი არ არის, მთავარია, ადამიანს სამუშაო ადგილი ჰქონდეს და ღირსეულად შეძლოს საკუთარი თავის და ოჯახის შენახვა. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგია. მაგალითად: ერთ-ერთ მიღებაზე, რესტორანში ვნახე ჩემი სტუდენტი, რომელიც იქ მიმტანად მუშაობდა, რამაც ძალიან გამახარა. გამახარა იმან, რომ ეს ადამიანი სწავლასაც ახერხებს, მუშაობასაც და ამის არ რცხვენია, რადგან შრომა მხოლოდ და მხოლოდ ღირსების მაჩვენებელია. თანდათან აქეთკენ მივდივართ და ეს მახარებს.

– ბატონო ლადო, მიუხედავად თქვენ მიერ ხსენებული პრობლემებისა, ჩვენი სტუდენტები საზღვარგარეთ მიდიან და უცხოელებს აოცებენ თავიანთი ნიჭითა და განათლებით. ეს რას უნდა დაგაბრალდოთ?

– ეს რას ნიშნავს? – პირველ რიგში იმას, რომ სტუდენტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს ცოდნა, ამას ყოველთვის ახერხებს. მე რომ სტუდენტი ვიყავი, ყველა კარგი ლექტორი კი არ მყოლია, ბევრ სისულელეზე დამაკარგვინეს დრო, ბევრი ისეთი რამ მასწავლეს, რაც სულ არ მჭირდებოდა, ბოდიში და, არაერთი “დასტვენილი” ლექტორიც მყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვსწავლობდი და მეცნიერებაშიც ვცდილობდი ჩემი სიტყვა მეთქვა. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ გასწავლის, მაგრამ მთავარია, შენ გინდა თუ არა სწავლა. სტუდენტები, რომლებიც უცხოელებს აკვირებენ, სწორედ ასეთები არიან – მათ ცოდნის მიღება უნდათ და ამავე დროს, ნიჭიერებიც არიან. ამასწინათ ჩვენთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თაოსნობით სამეცნიერო კვირეული ჩატარდა, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენი უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყო სამი სტუდენტით, რომლებიც I-II კურსელები არიან, მაგრამ უკვე საკუთარი გამოგონება შექმნეს. 2-3 თვის დაწყებული აქვთ სწავლა და ამ რამდენიმე თვეში რა ისწავლეს ისეთი, რომ გამოგონება შეექმნათ? – ეს გამორჩეული ნიჭის წყალობით შეძლეს და დღეს უკვე დუბაიში არიან მიწვეული. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი მაინც ნიჭზე და სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული.

– თუმცა, ჩვენ მაინც ჩამოვრჩებით მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს, ამას თქვენც აღიარებთ?

– მართალია, ჩვენ ჩამოვრჩებით წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს, რადგან უნივერსიტეტი არ არის ცალკე კუნძული, ცალკე სახელმწიფო – ეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაწილია და რა მდგომარეობაცაა დღეს საქართველოში, მეტ-ნაკლებად ის მდგომარეობაა უნივერსიტეტებში. სხვაგვარად ვერც იქნება – რაც ქვეყანაა, ის არის უმაღლესი განათლებაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მეცნიერების მთელ რიგ დარგებში საკმაოდ წარმატებულები ვართ: თუნდაც, იმავე საბუნებისმეტყველო დარგებში, ან მათემატიკაში ჩვენ სკოლები გვაქვს შექმნილი

და ამას ადასტურებს რეიტინგებიც. მაგალითად: მსოფლიოში მოქმედი უნივერსიტეტების ერთ-ერთი გამორჩეული რეიტინგი არის ტომსონ-როიტერის რეიტინგი, რომელშიც აქვეყნებენ მსოფლიოს 750 საუკეთესო უნივერსიტეტის სიას. ამ სიაში მოხვედრა ძალიან პრესტიჟულია, რადგან რჩეულებს მსოფლიოს 23 ათას უნივერსიტეტს შორის ავლენენ. არასდროს, არც ერთი ქართული უნივერსიტეტი ამ რეიტინგში არ მოხვედრილა. უფრო მეტიც, ადრე ინფორმაციაც არ ჰქონდათ წარდგენილი. ჩვენ 2015 წლის დასაწყისში, პირველად წარვადგინეთ ინფორმაცია. მართალია, ჩვენი უნივერსიტეტი ვერ მოხვდა ამ 750-ს შორის და ამის იმედი არც მქონია, მაგრამ გარდა ამ 750-ისა, გამოქვეყნდა კიდევ 45 უნივერსიტეტის სია, რომელიც მეცნიერების ცალკეულ დარგებშია წარმატებული. აქ ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულება მსოფლიოში 187-ე ადგილზე აღმოჩნდა, ასე რომ, მეცნიერების გარკვეულ დარგებში საკმაოდ წარმატებულნი ვართ. ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება: იმისათვის, რომ მოწინავე უნივერსიტეტებთან სწავლების დონეში გასხვავება შევამციროთ, ბაკალავრიატის დონეზე, მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები უნდა ვთარგმნოთ. ყველა სახელმძღვანელოს ვერ ვთარგმნით, ეს გამორიცხებულია, მაგრამ მივეცით საშუალება, რომ ფაკულტეტებმა თვითონ შეარჩიონ საუკეთესო სახელმძღვანელოები, უნივერსიტეტი ყიდულობს ამ სახელმძღვანელოების თარგმნის უფლებას, მერე კი აფინანსებს მათ თარგმნას და გამოცემას. ამას, რა თქმა უნდა, დრო უნდა, მაგრამ უნივერსიტეტში უკვე გვექონდა 5 ასეთი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. ეს ცოტაა, მაგრამ დასაწყისისთვის ცუდი არ არის. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს თავისუფალი წვდომა მსოფლიოს წამყვანი გამოცემების ელექტრონულ ბაზებზე, სახლიდან გაუსვლელად შეიძლება შეხვიდე და უნიკალური ლიტერატურა წაიკითხო. თუ ვინმეს არ სურს შესვლა და წაიკითხვა, ეს უკვე სხვა პრობლემაა. ძალიან ბევრი პროექტი გვაქვს დაგეგმილი, რომელიც დღეს არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს.

– ბატონო ლადო, წლევეანდელ ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობები რომელი იყო?

– ყველაზე მოთხოვნადი ტრადიციულად ორი ფაკულტეტი – ეს არის ეკონომიკისა და ბიზნესის და სამართლის ანუ იურიდიული ფაკულტეტი. ორივე ფაკულტეტი ისევ ძველებურად პოპულარულია, ჯერჯერობით ძნელია ორიენტაცია ავიღოთ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე, თუმცა აქაც გამოიკვეთა კარგი სიმპტომი: ჩვენ ამერიკული დაფინანსებით შევქმენით სრულიად ახალი, საინჟინრო სკოლა. ასეთი რამ უნივერსიტეტში ადრე არ ყოფილა. ჩვენი პარტნიორია სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს არის ამერიკული ფულით დაფინანსებული სკოლა, რომელიც სამი მიმართულებით მოამზადებს სპეციალისტებს: 1. კომპიუტერული მეცნიერებები, 2. ბიოქიმია, 3. ელექტროინჟინერია. აქ მომზადებული ახალგაზრდები 2 დიპლომს მიიღებენ – ჩვენი უნივერსიტეტის და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისას – ერთდროულად. უკვე გვექონდა მიღება და ჩაირიცხა 55 ახალგაზრდა. ეს არის ნაღები ახალგაზრდობა, ისინი თავისუფლად

ფლობენ ინგლისურს, ამიტომ როცა ჩამოდიან ამერიკელი პროფესორები, პრობლემა არა აქვთ. რიცხოვნობის მიხედვით ვერ ვიტყვი, რომ ეს მიმართულება დღეს ყველაზე პოპულარულია, მაგრამ გამორჩეული ახალგაზრდები სწორედ აქ გვყავს. უნივერსიტეტში გავსენით ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. მიუხედავად ზოგიერთების სკეპტიციზმისა, ეს შესანიშნავი ფაკულტეტია. ხუთეულში ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებს შორის ერთ-ერთი სწორედ ფსიქოლოგიაა ანუ ახალგაზრდები დღეს ძალიან დაინტერესებულნი არიან ფსიქოლოგიის შესწავლით, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში კი დიდი პოპულარობით სარგებლობს განათლების მეცნიერებათა მიმართულება, პედაგოგია. აქვე ვიტყვოდი, რომ დაფინანსების არსებული წესით, რომელიც ძალიან ცუდი წესია, ჩვენ არ ვართ დაინტერესებულნი, რომ სტუდენტი გაირიცხოს, რადგან ფულს ვკარგავთ. იმისათვის, რომ ჩვენს მიზნებს მივაღწიოთ, სახელმწიფო უნივერსიტეტს სჭირდება სახელმწიფო დაფინანსება, დღეს სახელმწიფო სტუდენტს აფინანსებს, უნივერსიტეტი კი, ბიუჯეტიდან პირდაპირი წესით კი არ ფინანსდება, რაც ჩემი აზრით, სერიოზული შეცდომაა.

– და ბოლოს, ბატონო ლადო, აუცილებლად უნდა გკითხოთ სტუდენტების გამოსვლაზე, რომლებიც თქვენს გადადგომასაც მოითხოვენ. როგორ მოახერხეთ მათთან საერთო ენის გამონახვა?

– უნივერსიტეტის სტუდენტობა პასიური არასდროს ყოფილა. მათ ახლაც საკმაოდ ჯანსაღი მოთხოვნები აქვთ: მოითხოვენ უკეთეს სწავლას, უკეთეს აუდიტორიებს, უნდათ უფრო კომპეტენტური პედაგოგები ჰყავდეთ, თუმცა ზოგჯერ არის მოთხოვნები, რომლებიც კარგად არ არის ჩამოყალიბებული. მთელ რიგ ცვლილებებს ვგეგმავთ, რომლებიც სტუდენტებზე იქნება მორგებული. არა მგონია ბოლო საპროტესტო აქცია პოლიტიკური მოტივებით ყოფილიყო ნაკარნახევი და არ მგონია, რომ ამ აქციის უკან პოლიტიკური ძალები იდგნენ. შეიძლება სტუდენტი ვიდაცამ შეცდომაში შეიყვანოს და სწორედ ამ „ვიდაცაზე“ არ მინდა ვიფიქრო. რაც შეეხება ჩემი გადადგომის მოთხოვნას, მე თანამდებობას გამოვიდებული არასდროს ვყოფილვარ, მართალია, ეს თანამდებობა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მას უნდა ჩავეჭიდო. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რექტორი რომ აღარ ვიქნები, მერე როგორ შემაფასებს საზოგადოებაც და ახალგაზრდობაც, ამიტომ მე ამ ახალგაზრდებზე გაბრაზებული არა ვარ, ახალგაზრდები ნებისმიერ დროში მაქსიმალისტები იყვნენ, არიან და უნდა იყვნენ კიდევ მაქსიმალისტები!

ხათუნა ჩიგოგიძე